საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N52 2017 წლის 13 მარტი ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრის - შალვა ტაბატაძისთვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტისა და „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრთა დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2016 წლის 17 ოქტომბრის №342 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტისა და „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრის უფლებამოსილება შეუწყდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრს - შალვა ტაბატაძეს.

2. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრთა დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2016 წლის 17 ოქტომბრის №342 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში – საბჭო) წევრებად დაინიშნონ:

ირინა აბულაძე - სსიპ - ათასწლეულის გამოწვევის ფონდ - საქართველოს (MCA – Georgia) „მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების“ პროექტის მენეჯერი, საბჭოს თავმჯდომარე;

გრიგოლ მურღულია - ფილოლოგიის დოქტორი, შპს „ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრის“ დამფუძნებელი და დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

თამარ ფხალაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის წამყვანი სპეციალისტი, ისტორიკოსი, საბჭოს მდივანი;

რევაზ აფხაზავა - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი;

მარინა უშვერიძე - PH-International- საქართველოს ოფისის სამოქალაქო განათლების პროგრამის დირექტორი;

ქეთევან აბულაძე - სსიპ - ქალაქ თბილისის №126 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე;

არჩილ სუმბაძე - შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისის“ აკადემიური დირექტორი;

თამარ კაპანაძე - სსიპ - თბილისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორი;

გიორგი გახელაძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლის მოწვეული პროფესორი.“.

გიორგი კვირიკაშვილი